თბილისი

გორგასალის № 39

საპროექტო ტერიტორიის
ისტორიულ-არქიტექტურული კვლევა



მნაცაკანოვის ხიდი და ხედი ხარფუხზე
XIX საუკუნის მიწურულის ფოტო
ჯ.ბაბუნაშვილის ფოტო-არქივიდან

შემსრულებელი ჯ.ბაბუნაშვილი

საპროექტო ტერიტორიის ისტორიულ-არქიტექტურული ანალიტიკური ინფორმაცია

ინფორმაცია მოიცავს კვლევა-ძიებას, რომელიც ჩატარდა „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის 43-ე მუხლის სრული შესაბამისობით.

საპროექტო ტერიტორიის ადგილი ქალაქის სტრუქტურაში და მისი არსებული მდგომარეობის დახასიათება

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისის ისტორიული განაშენიანების რეგულირების ზონაში. ამ უკანასკნელის საზღვრები ჯერ კიდევ ამ რამდენიმე წლის წინ იქნა განსაზღვრული და მიმატებული „ისტორიული ნაწილის სახელმწიფო დაცვის ზონის“ საზღვრების. ამ უკანასკნელის მიხედვით, საპროექტო ტერიტორია შედის ე.წ. “ნადიკვარზე” ეს დასახლება XX საუკუნის 30–იან წლებში იწყებს განვითარებას სადაც ძირითადად ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები შენდება.

-საკვლევ ტერიტორიად როგორც ამას კანონი გვავალდებულებს, უნდა მივიჩნიოთ განაშენიანების რეგულირების სარეკომენდაციო ზონა რომელიც ფაქტიურად მოიცავს ნადიკვარის ქუჩას თავისი ჩიხებით და თავად ნადიკვარის დასახლებას.

-კვლევის ამგვარად წარმართვა, ვფიქრობთ, სრულ წარმოდგენას შექმნის საპროექტო ტერიტორიის ქალაქგეგმარებითი პირობების დასადგენად.

-ნადიკვარის დასახლება, შეიძლება ითქვას, თბილისის ქალაქგეგმარებით სტრუქტურაში არ წარმოადგენს მნიშვნელოვანს, რომლის ფასეულობა მხოლოდ ამ უბნის განაშენიანების რეგულირების ზონაში მოხვედრა განაპირობებს. თუმცა არ შეიძლება არ აღინიშნოს ამ უბნის ჩამოყალიბებული პლასტი რომელიც საბჭოთა პერიოდს ასახავს.

-თავად საკვლევ საპროექტო ტერიტორია ხარფუხის და ორთაჭალის უბნების გასაყარზე მდებარეობს და გამოკვეთილი ადგილი უჭირავს ამ გარემოში როგორც ეკოლოგიურად სუფთა საცხოვრებელი უბანი.

-იმნედნად რამდენადაც თავად ნადიკვარის დასახლება ქალაქეგმარებითი თვალსაზრისით რაიმე ფასეულს არ

წარმოადგენს ამიტომ მისი ქალაქგანვითარების შეფასება ხარფუხისა და ორთაჭალის კონტექსტში უნდა გავიხილოთ.

-საპროექტო ტერიტორია ქალაქის სტრუქტურაში ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით ჩიხურ ადგილს წარმოადგენს, რომელიც გარემოცულია ფონური განაშენიანების შენობა ნაგებობებით და რომლის ძირითადი ფუნქცია საცხოვრებელია.

- მართალია საკვლევი ტერიტორია ძეგლების (იხ. დანართი№3) ნაკლებობას განიცდის თუმცა სპონტანურად წარმოქმნილი განაშენიანება მთლიანობაში მაინც ისტორიაა და თავისი ავთენტურობით ერთგვარ საბჭოთა ეპოქის ექსპოზიციად გვევლინება.

-გორგასლის ქუჩა სადაც საპროექტო ტერიტორია მდებარეობს მაედანსა და ფონიჭალას შორის მდებარეობს და ერთ-ერთ გრძელ ქუჩაა თბილისის სინამდვილეში, ის წარმიქმნა XIX საუკუნეში 1851 წელს. 1923 წლამდე მას ვორონცოვის ქუჩა ერქვა შემდეგ კომუნალური, ხოლო 1958 წელს ეწოდა გორგასლის სახელი.

- საპროექტო ტერიტორია, რომელიც საკუთრებაა ერთ საკადასტრო ერთეულადაა წარმოდგენილი მიწის ფართობით 383 კვ.მ და მასზე განთავსებული სართულნახევრიანი საცხოვრებელი სახლით ეს უკანასკნელი ქსპლუატაციისათვის უვარგისია და შესაბამისად მხოლოდ საცხოვრებელ სადგომი შეიძლება ეწოდოს, ხოლო არქიტექტურული თვალსზრისით არანაირ ფასეულს არ წარმოადგენენმის ერთად-ერთ ღირებულებას მის მომიჯნავედ არსებული კიბე ქუჩა განსაზღვრავს რომლითაც გორგასლის ქუჩა ბერძნის ქუჩას უკავშირდება.

- საპროექტო ტერიტორიას აღმოსავლეთის მხარეს ესაზღვრება გორგასლის ქუჩაზე მდებარე საბჭოთა პერიოდის ამსახველი საცხობრებელი 8 სართულიანი კორპუსები რომლებიც ერთგვარ ფარდას ქმნიან საპროექტო ტერიტორიასთან მიმართებაში რაც გარკვეულ წილად აკნინებს საპროექტო ტერიტოტიის ქალაქგეგმარებით პოტენციალ. დასავლეთითა და სამხრეთით საპროექტო ტერიტორიას ესაზღვრება ბერძნის ქუჩა და ნადიკვარის დასახლება ხოლო ჩრდილოეთით საბჭოთა პერიოდის ასევე 8 სართულიანი საცხოვრებელი კორპუსები აქვეა აღსანიშნვი ის გარემოება რომ საკადასრტო ერთეულის ნაწილი სზ-2 –ს განეკუთვნება ხოლო ნაწილი სსზ-2-ს.

- საპროექტო ტერიტორისა და გორგასლის ქუჩას შნიშნულებს შორის სხვაობა საკმაოდ დიდია და შეადგენს 9 -10 მ. - ტერიტორია ხეხილის ნარგავებით არის დაფარული.
- საპროექტო ტერიტორიის ვიზუალური აღქმის გარემო მხოლოდ მის წინ 8 სართულიანი კოპუსების ლოჯებით არის წარმოდგენილი.
- ქალაქმშენებლობითი ღირებულების მიხედვით, საპროექტო ტერიტორია არ განეკუთნება ღირებულ ტერიტორიულ სტრუქტურულ ერთეულს. მსი ვიზუალური აღქმის გარემოს მეტად შეზღუდვის გამო.
- საკვლევ და საპროექტო ტერიტორიებზე ზოგადი გეოლოგირი მონაცემები უნდა ჩაითვალოს როგორც კარგი რადგან აქ გავრცელებულია კლდოვანი მასები რაც აქ მდგრადი ნაგებობების აშენების საწინდარია.
- ტერიტორია მთლიანად უზრუნველყოფილია საინჟინრო კომუნიკაციებით. ეს უკანასკნელი ამორტიზებულია და მოითხოვს შეცვლას.
- საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტით მიდგომა ბერძნის ქუჩის მხრიდანაა შესაძლებელი.
- საპროექტო ტერიტორიაზე ზოგადი არქეოლოგიური რუქით რაიმე ნიშანი არ ფიქსირდება, თუმცა ეს არ გამორიცხავს ამ ტერიტორიაზე არქეოლოგიური ნიშნების ქონას.

საკვლევი ტერიტორიის ისტორიული რეტროსპექტივა განვითარების ქრონოლოგია და ეტაპები

- თბილისის ქალაქწარმოშობის რამდენიმე ფაქტორიდან ერთ-ერთს გოგირდოვანი წყლების არსებობა წარმოადგენდა, რომლის სიახლოვეს სოფელი თბილისი დღევანდელი „სეიდაბადი“ იგივე “ხარფუხი” არსებობდა. ხარფუხი აბანოთუბნისა და ორთაჭალას შორის თაბორის მთის ძირში 18-ე საუკუნის და 19-ე საუკუნეების მიჯნაზე წარმიშვა. ადრე კი ამ ტერიტორიას სეიდაბადს უწოდებდნენ. 1819 წელს ხარფუხი თბილისის საზღვრებში ოფიციალურად მოექცა.
-ამ დროისათვის ხარფუხის მოსახლეობა სულ 33 კომლს შეადგენდა მიუხედავად თბილისის საზღვრებში მოქცევისა ხარფუხი მაინც სოფლურ დასახლებად რჩებოდა XIX საუკუნის შუა პერიოდამდე. ხარფუხი ანუ “ხარბუხი” უცხო ენაზე სურდოს ნიშნავდა აქ არსებული პატარა საკულტო ნაგებობის

გამო ეს უკანასკნელი ბავშვების სურდოთი დაავადების მკურნალობის და ლოცვის ადგილი იყო. და მაინც დღეს ხარფუხის იდენტიფიკაცია აქ არსებული წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიას უკავშირდება რომელიც საპროექტო ტერიტორიიდან არც ისე შორი მანძილითაა დაცილებული.

-სანამ ქალაქში სანაპიროები მოეწყობოდა მტკვირის კალაპოტში რამდენიმე კუნძული არსებობდა მათ შორის ცნობილი კუნძული ორთაჭალა. ვახუშტის მიხედვით მას კრწანისის ბაღსაც უწოდებდნენ ეს იმით აიხსნება რომ ორთაჭალა სოფელ კრწანისს ეკუთვნოდა. ორთაჭალის სახელწოდება იმით უნდა აიხსნას რომ ის მოქცეული იყო მტკვრის ორ ტოტს შორის არსებული ჭალებით.

-ორთაჭალის ბაღები მეფის ოჯახს და თავად-აზნაურებს ეკუთვნოდა, XIX საუკუნიდან კი ის კერძო საკუთრებაში გადადის. ორთაჭალა ბახუსის მოყვარულთა და არა მარტო ბახუსის სხვა წარჩინებულთა ბაღიც იყო სადაც ძირითადად კაკლის ხეები ხარობდა, ხოლო ხეივნებს დაფქვილი აგურის ბილიკები მიუყვებოდა. ორთაჭალის ბაღები დღეისათვის სამწუხაროდ არ არსებობს ეს მას შემდგე დაიწყო რაც აქ აშენდა ორთაჭალჰესი და რომელმაც გააქრო მტკვრის ორი ტოტი.

-ორთაჭალის მარჯვენა სანაპირო მარცხენას საცალფეხო ხიდით უკავშირდებოდა რომელსაც "ვირის" ხიდი ეწოდებოდა. და მაინც ყველაზე ნიშანდობლივი საპროექტო საკვლევ ტერიტორიასთან მიმართებაში XIX საუკუნეში აქ არსებული საბაჟოს არსებობა უნდა მივიჩნიოთ.

- სეიდაბადის და ორთაჭალის ქალაქგეგმარებით სტრუქტურაზე რომლებიც თავის თავად განსაზღვრავდა საკვლევი ტერიტერიის ქალაქგეგმარებით პოტენციალს, ნათელ წარმოდგენას გვაძლევს 1800 წელს პორუჩიკ ჩუიკოს მიერ შედგენილი თბილისის გეგმა. ეს ის პერიოდია, როცა თბილისი აღა მაჰმად ხანის შემოსევის შემდეგ იწყებს აღორძინებას ერთი მეტად საგულისხმო მომენტით, ამჯერად ქალაქი ძველი შენობების ნანგრევებზე შენდება.

-ამ დროისათვის „სეიდაბადი" ისევ რჩება ბად-ვენახებით განაშენიანებული, რომელთა მფლობელები არიან მეფის ასული, მეფისწული, კათოლიკოსი და სხვები. ასევე რუქაზე დატანილია აწ დანგრეული სურბ სარქისის ეკლესია, სეიდაბადის დამცავი კოშკი და კედელი, რომელიც მდებარეობდა განჯის კართან.

მნიშვნელოვანია ასევე განჯის გზის კონფიგურაციაც, რომელიც იწყება განჯის კარიდან და მთავრდება ნარიყალას ძირში, იგივე განჯის კართან.
- 1844 წლის თბილისის რუქაზე (იხ. დანართი№3) საკვლევ საპროექტო ტერიტორია საბაჟოს მიმდებარე ტერიტორიის შემოგარენშია განთავსებული, ამ დროისათვის გამოკვეთილია ვორონცოვის ქუჩა რომელიც სოღანლუღისკენ არის მიმართული.
- 1867 წლის თბილისის რუქაზე (იხ. დანართი№4) დიდი ცვლილება 1844 წელთან შედარებით არ შეინიშნება გარდა იმისა რომ მტკვარზე ჩნდება "მნაცაკანოვის" ხიდი რომელიც "შავ სოფელს" უკავშირდება.
- 1887 წლის თბილისის რუქაზე (იხ. დანართი №5) საკვლევ ტერიტორიას მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია. ყოველ შემთხვევაში ამ დროისათვის ქუჩების ქსელი უცვლელია.
- თბილისის 1913 წლის რუკის მიხედვით ქუჩების ქსელი დღევანდელს ემსგავსება. ამ დროისათვის ორთაჭალის ბაღს ჭრის ვორონცივის ქუჩა (იხ. დანართი №6)
-1924 წლის თბილისის რუქაზე (იხ. დანართი №7) (გასაბჭოების პერიოდი) ქუჩების ქსელი კვალვ უცვლელია. ამ დროისათვის ძირითადად ქუჩების დასახელებები არის შეცვლილი.
- თბილისის 1934 წლის რუკაზე (იხ. დანართი №8) ქალაქგეგმარებითი სტრუქტურა უცვლელია.
- შემდგომ წელებში, რომელიც საბჭოთა პერიოდს მოიცავს, საკვლევმა ტერიტორიამ და ძირითადად მის წინ არსებულმა გარემომ საკმაო დიდი ცვლილება განიცადა რომელიც ძირითადად ჰესთან ერთად ახალი ხიდით, საცხოვრებელი კორპუსების, მოედნის ჩამოყალიბების და სხვა სამშენებლო ობიექტებით დაიტვირთა.

საკვლევ ტერიტორიაზე არსებული განაშენიანების ანალიზი

-საკვლევ ტერიტორიაზე **განაშენიანების სტრუქტურა** ისტორიულ განაშენიანებასთან მიმართებაში მეტად სახეცვლილია და ის ძირითადათ საბჭოთა პერიოდით შემოიფარგლება
- საკვლევ ტერიტორიის **მორფოლოგია და მასშტაბი** დღეის მდგომარეობით შეგუებულია თვალს და გარემოს. ამ მხრივ ისტორიული განაშენიანების მორფოლოგია და შესაბამისად

მასშტაბიც XIX საუკუნის ფოტომასალასა და რუქებზე დაყრდნობით დღეისათვის ისტორიულთან მიმართებაში შეიძლება დახასიათდეს როგორც მეტად სახეცვლილი.

- მოცემულ შემთხვევაში ორიენტირად **მასშტაბის** განსასაზღვრავად საპროექტო და მიმდებარე ტერიტორიების განაშენიანება უნდა ვიგულისხმოდ, საპროექტო ტერიტორიის წინ არსებული საცხოვრებელი კორპუსების გამოკლებით.
- საკვლევ ტერიტორიაზე **ღია სივრცეები** ბაგრატიონის ძეგლის წინბდებარე სივრცე განსაკუთრებულ გარემოს ქმნის ამდენად მათი რაიმე სახით შეცვლა დაუშვებელია, პირიქით ასეთ სივრცეების ორგანიზება აუცილებელს წარმოადგენს ქალაქგეგმარებითი ჩარევების დროს.
- საკვლევ ტერიტორიაზე **განაშენიანების სტილი ძირითადად** ინდივიდუალური დასხლების სახითა რის წარმოდგენილი რომელიც თავისებურ შეგუებულ პლასტს ქმნის ამ გარემოში. რაც შეხება **არქიტექტურულ სტილს**, მისი განსაზღვრა ჭირს იმდენად რამდენადაც აქ მხოლოდ მენეშენეს და ხელოსანთა შემოქმედებით დონეზე წყდებოდა ყველაფერი.

-საკვლევ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების **არქიტექტურული შემკულობაზე** მსჯელობა ასევე ჭირს ასეთის არ არსებობის გამო.

- საკვლევ ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობების **ფუნქციური დატვირთვა** ძირითადად საცხოვრებელია.

ისტორიულ-არქიტექტურული კვლევის დასკვნითი ნაწილი და რეკომენდაციები

- კვლევის ჯამური შედეგებიდან გამომდინარე, საპროექტო ტერიტორიაზე დამკვეთის მიერ მოთხოვნილ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის ნაცვლად ახალი მოცულობის მშენებლობა შესაძლებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინებით:
- აპრიორი პროექტირებას საფუძვლად უნდა დაედოს განაშენიანების რეგულირების ზონაში მოქმედი რეჟიმის მოთხოვნები.
- საპროექტო ტერიტორიაზე ახალი მოცულობის განთავსება უნდა მოხდეს ისე, რომ ახალ მოცულობას მისადგომი ჰქონდეს ბერძნის ქუჩიდანაც და თავისთვად გორგასლის

ქუჩიდან, ასევე თუ ამის საჭიროება გახდება საპროექტო ტერიტორიის მომიჯნავედ გამავალ კიბე ქუჩიდანაც, ასეთი გადაწყვეტა მაქსიმალურად უზრუნველყოფს ახლი ფუნქციის მქონე სამედიცინო დაწესებულების (დამკვეთის მოთხოვნა) ექსპლუატაციას.

- ახალი მოცულობის სივრცითი და კომპოზიციური ორგანიზება სიმბიოზში უნდა იყოს არსებულ განაშენიანებასთან როგორც წინ არსებული 8 სართულიანი სახლთან მიმართებში ასევე ბერძნის ქუჩის განაშენიანებასთანაც და მთლიანად გარემოსთან. ასეთი მოთხოვნა განპირობებულია ამ გარემოს ისედაც დეფორმირებული ქალაქგმარებითი კონტექსტით. ამ უკანასკნელს სამწუხაროდ დღეისათვის არანაირი ქალაქგმარებითი ნიშანწყალი არ ეტყობა.
- იმდენად, რამდენადაც საპროექტო ტერიტორიაზე დაკარგული მოცულობების გრაფიკული მასალა არ მოგვეპოვება, (XIX.ს ფოტო დანართი № 5, 6; მხოლოდ ტერიტორიის შორი მანძილიდაან სილუეტს განსაზთვრავს) მისი აღდგენის იდენტურობაზე ვერ ვიმსჯელებთ, ამდენად ახალი მოცულობის პროექტირება თამამად და ყოველგვარი რეგლამენტირების გარეშე შეიძლება წარიმრთოს რომელმაც უნდა ასახოს დღევანდელობის პერიოდი.
- უნდა გამოირიცხოს რეტროს სტილი. ახალი მოცულობის პროექტირებისას გამოყენებული უნდა იქნას დღევანდელობის მაინდეტიფიცირებელი არქიტექტურული სტილი.
- ქალაქგეგმარებითი პარამეტრების დადგენის დროს მნიშვნელოვანია შენობის სიმღლის განსაზღვრა რომელიც არ უნდა აღემატებოდეს სამ სართულს.
- წინამდებარე რეკომენდაციები “კულტურული მემკვიდრეობის შესახებ” საქართველოს კანონთან მიმართებაში წინააღმდეგობაში არ მოდის. ამდენად საპროექტო ტერიტორიის დატვირთვა ახალი მოცულობით უარყოფით გავლენას არ გამოიწვევს უკვე შეგუებულ ამ გარემოში
- პროექტის ავტორის და დამკვეთის ურთიერთშეთანხმება საპროექტო დავალების შესადგენად, და შემდგომში მის

მიხედვით პროექტირება, ამ უკანასკნელის სწორი მიმართულების განსაზღვრისათვის მოცემულ შემთხვევაში სირთულეს არ უნდა წარმოადგენდეს მით უმეტეს საამისოდ წინამდებარე კვლევა-ძიება საკმაო წარმოდგენას იძლევა.

- წინამდებარე რეკომენდაციები შესასრულებლად არ წარმოადგენენ სავალდებულოს, თუმცა სასურველს. სამართლებრივად ქალაქგეგმარებითი პირობების დადგენა და გაცემა ს.ს.ი.პ თბილისის არქიტექტურის საქალაქო სამსახურის პრეროგატივაა.

შემსრულებელი: ჯ. ბაბუნაშვილი

გრაფიკული მასალა

ფ-1, ფ-2, ფ-3, ფ-4,- საპროექტო საკვლევი ტერიტორია.
ფ-5, ფ-6 XIX საუკუნე, მნაცაკანოვის ხიდი და ძველი საბაჟო.

1 საპროექტო ტერიტორია 1:2000 მ. ტოპო გადაღებაზე, დანართი №1
2 ისტორიულ კულტურული ძეგლების დისლოკაციის საყრდენი გეგმის ფრაგმენტი, დანართი № 3
3 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1844 წ. გეგმაზე, დანართი №3
4 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1867 წ. გეგმაზე ,დანართი № 4
5 საპროექტო ტერიტორია თბილისის 11887 წ. გეგმაზე დანართი № 5
6 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1913 წ. გეგმაზე დანართი №6
7 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1924 წ. გეგმაზე, დანართი №7
8 საპროექტო ტერიტორია თბილისის 1934 წ. გეგმაზე, დანართი №8